პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 2 (390) პარასკევი, 13 იანვარი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1950 წლის 10 თებერვალს ვადა გაუდის სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებას, სსრ კავშირის კონსტიტუციის 54 მუხლის საფუძველზე, რომლითაც დაწესებულია, რომ ახალ არჩევნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავს არაუგვიანეს ორი თვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რწმუნების ვადის გასვლის დღიდან, და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 72 მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ცხადდება, არჩევნების ვადამდე არაუგვიანეს ორი თვისა, და რომ არჩევნები ხდება არასამუშაო დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კვირას, 1950 წლის 12 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 9 იანვარი.

## საბჭოთა მწვრთნელი

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სპორტი ადამიანს უნერგავს ისეთ ძვირფას თვისებებსა და ჩვევებს, როგორიცაა ძალა და ნებისყოფის სიმტკიცე, გამბედაობა და კოლექტივიზმის გრძნობა, საზრიანობა და მოხერხებულობა...

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი უდიდეს ყურადღებას უთმობენ მშრომელთა ფართო მასების ფიზიკურ აღზრდასა და წრთობას. ისინი დაინტერესებული არიან ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და ენერგიული ახალი თაობის აღზრდით, რომლისთვისაც არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება მიზნისაკენ სწრაფვისას, რომელიც მზად არის შრომისათვის დედასამშობლოს საკეთილდღეოდ და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მტრების ხელყოფისაგან.

საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთიანი ოჯახის სრულუფლებიანი წევრები არიან. თავისი გმირული შრომით სახალხო-სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო მშენებლობის ყველა ფრონტზე ფიზკულტურელები ამრავლებენ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას და უფრო წარმტაცს ხდიან მას.

სსრ კავშირის სპორტსმენები, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში დგანან, უხვად არიან დაჯილდოებულნი იმ დადებითი ჩვევებითა და თვისებებით, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ეს თვისებები ჩვენმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ნათლად გამოამჟღავნეს დიდი სამამულო ომის პერიოდში, ამ ჩვევებს ამჟღავნებენ ისინი დღეს მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაბმულნი.

საბჭოთა სპორტსმენებს ეს შესანიშნავი ჩვევები არაერთხელ გამოუმჟღავნებიათ უცხოეთის სტადიონებზე, რითაც აღტაცებაში (ხან კი განცვიფრებაში) მოუყვანიათ საზღვარგარეთელი მაყურებელი.

420 საკავშირო რეკორდი დაამყარეს ჩვენი სამშობლოს სპორტსმენებმა გასული წლის სეზონში. ამათგან 32 მსოფლიოში საუკეთესოა. ამ ბრწყინვალე წარმატებებში, ცხადია, დიდი ღვაწლი მწვრთნელებს მიუძღვით.

სპორტსმენთა აღზრდის საქმეში მწვრთნელს გადამწყვეტი როლი ეკისრება, საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში მას მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ადგილი უკავია.

საბჭოთა მწვრთნელი დაუღალავად უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ სპორტსმენი მაღალი ტექნიკური მაჩვენებლების გარდა, გამოიწრთოს იდეურად, რომ სპორტსმენმა შეიძინოს ყველა ის თვისება, რაც დამახასიათებელია ყოველი **საბჭოთა ადამიანისათვის.**

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებსაც არაერთხელ ბრწყინვალედ დაუცავთ მშობლიური სპორტის ღირსება უცხოეთის სტადიონებზე, შეუნელებლად ზრუნავენ თავიანთი სპორტული ტექნიკისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ამ საქმიანობაში მათ უდიდეს დახმარებას უწევს მწვრთნელი.

რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელები გ. ეგნატაშვილი, ლ. გოლოვნია, ვ. კუხიანიძე, ბ. ტახტაროვი, ა. გოლდშტეინი, ა. ხაბურზანია, ა. ყორდანია და სხვები მუშაობის პროცესში სპორტსმენთა ტექნიკურ მომზადებას მჭიდროდ უკავშირებენ პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობას, ზრუნავენ, რათა მათი მოწაფეები იყვნენ ღირსეული წევრები საბჭოთა საზოგადოებისა.

ამ დღეებში ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მწვრთნელები, რომლებმაც დედასამშობლოს მოუმზადეს სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, აღზარდეს ახალგაზრდა სპორტსმენთა შესანიშნავი კადრები. დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — სსრ კავშირის თასის პირველი მფლობელის თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი შ. დიასამიძე, სსრ კავშირის ჩემპიონის ნ. დუმბაძისა და სსრ კავშირის რეკორდსმენის ე. გოკიელის მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი, მსოფლიო რეკორდსმენის შტანგისტ რ. ჩიმიშკიანის მწვრთნელი პ. გუმაშიანი და სხვ.

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაავრცელონ მოწინავე მწვრთნელების გამოცდილება, მოაწყონ ამ გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ამით ხელი შეუწყონ სპორტსმენთა საუკეთესოდ აღზრდას.

## ბაკურიანის თოვლიან ველებზე



**ბაკურიანი,** 12 იანვარი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან.). დიდი გამოცოცხლება სუფევს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სათხილამურო ბაზაზე — საზამთრო კურორტ ბაკურიანში. აქ ტრადიციის თანახმად თავი მოუყრიათ საბჭოთა კავშირის უძლიერეს მეთხილამურეთ, რომელთაც გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით სპეციალური საწვრთნელი შეკრება გაიარეს.

ბაკურიანის წარმტაცი თოვლიანი მიდამოები თბილისელი, ბორჯომელი და ადგილობრივი ახალგაზრდობის მხიარული ყიჟინითაა ახმიანებული.

8 იანვარს ჩატარდა საინტერესო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამთო მეთხილამურეებმა. ეს შეხვედრები, რომლის პროგრამაში შედიოდა ხტომები ტრამპლინიდან და სამთო ორჭიდი, საწვრთნელი შეკრების დასკვნით აკორდს წარმოადგენდნენ.

შუადღის 1 საათზე მოედანზე საპარადო წყობით გამწკრივდნენ შეჯიბრების მონაწილენი. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის 1949 წლის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში, ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ი. სკვორცოვი, საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი სამთო ორჭიდში, სპორტის ოსტატი ე. სამოხვალოვი, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ტრამპლინიდან ხტომაში, გამოცდილი სპორტის ოსტატი კ. კუდრიაშოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ანდრეევი, პ. როდიონოვი, პ. დემენტიევი და სხვ.

### ★ ნახტომი 71,5 მეტრზე ★

ფიზიკური კულტურის საკავშირო კომიტეტის სახელით შეჯიბრების მონაწილეებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ხიმიჩევმა.

სკვორცოვმა, სამოხვალოვმა და კუდრიაშოვმა მაღალ ანძაზე აღმართეს ტურნირის წითელი ალამი...

შეჯიბრება დაიწყო!

პირველად ჩატარდა საჩვენებელი ხტომები 45 მეტრიან ტრამპლინიდან. განსაკუთრებით კარგ შედეგს მიაღწია ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა მ. ტურკოვმა, რომელიც გადახტა 47 მეტრზე და დაამყარა ახალი რეკორდი ამ ტრამპლინისათვის.

9 იანვარს სპორტსმენები ისვენებდნენ, სამშაბათს კი ისინი სამთო ორჭიდში შეებნენ ერთმანეთს. ამ დღეს გაიმართა მარულა 18 კილომეტრზე. სტარტი 9 კაცმა დასტოვა... დაძაბული და მეტად საინტერესო ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ი. მაკროპულომ შედეგით 1.21;21,0.

დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ახალი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა და ექსპლოატაციას გადაეცა სსრ კავშირის უდიდესი და ულამაზესი 70 მეტრიანი ტრამპლინი.

კოხტაგორასთან მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ტრამპლინის ესტოკადაზე, რომელიც გამშვენიერებულია წითელი დროშებით, პლაკატებითა და სპორტსაზოგადოებათა ალმებით, ადიან უძლიერესი მეთხილამურეები.

კარგი ამინდია. მოკრიალებულ ცაზე ბრწყინავს მზე. თერმომეტრი უჩვენებს 25 გრადუსიან ყინვას. „ამინდი საჩვენოა“ — კმაყოფილებით აღნიშნავენ სპორტსმენები.

სტარტზეა სკვორცოვი. იგი იწყებს დაშვებას, უახლოვდება ასხლეტის მაგიდას, ხტება, ხაზავს ტრაექტორიას ჰაერში და ლამაზად ეშვება ძირს. 70 მეტრი! ნახტომი კარგი სტილითაა შესრულებული და ახალგაზრდა ოსტატი პირველ ადგილს იკავებს. მეორე ადგილზეა სპორტის ოსტატი ბ. იაკოვლევი (მოსკოვი) — 66 მ., მესამეზე — სპორტის ოსტატი ა. ულანოვი — 63,5 მეტრი.

მალე სკვორცოვი ხელმეორედ ხტება თავისი რეკორდის გასაუმჯობესებლად და მიზანსაც აღწევს. მისი შედეგია 71,5 მეტრი!

სამთო ორჭიდში (მარულა 18 კილომეტრზე და ხტომები 70 მეტრიან ტრამპლინიდან) გაიმარჯვა სვერდლოვსკელმა სამოხვალოვმა (442,1 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ა. ულანოვი (428,6), მესამეზე — ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ა. ალფუფიევი (421,3).

შეჯიბრებამ, რომელმაც მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა, დიდი ინტერესი გამოიწვია. კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ ა. ბალაევიჩის (თბილისი) ხელმძღვანელობით.

ი. მღებრიშვილი

## კვლავ სპორტსმენთა აღზრდის შესახებ

### რედაქციაში შემოსული წერილებიდან

გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში ბევრი წერილი შემოდის, რომლებშიც ჩვენი სპორტსმენები ეხმაურებიან „ლელოს“ ფურცლებზე მოთავსებულ ამხ. ლ. გიორგაძის სტატიას „გავამახვილოთ ყურადღება სპორტსმენის აღზრდის საკითხებისადმი“. ფიზკულტურელები და სპორტსმენები ერთსულოვნად გამოსთქვამენ აზრს იმის შესახებ, რომ სპორტსმენთა აღზრდის საქმეში ძირითადი მნიშვნელობა აქვს პოლიტსაგანმანათლებლო, აღმზრდელობითსა და სასწავლო-სპორტული მუშაობის შეთავსებას.

რედაქციაში შემოსული თბილისელ ველოსიპედისტთა კოლექტიური წერილი ეხება მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ა. ს. ხაბურზანიას მუშაობასა და წვრთნის მეთოდებს. იგონებენ რა ვ. ძებნიაურის მისაბაძ საქციელს, რომელმაც შეჯიბრებისას გასაჭირში ჩავარდნილ მოწინააღმდეგეს მეგობრულად გაუწოდა ხელი — თავისი უკანასკნელი სათადარიგო შინი გადასცა — ველოსიპედისტები აღნიშნავენ, რომ ეს საქციელი მეტად კეთილშობილური და ამაღელვებელია. „მაგრამ, — სამართლიანად ამბობენ წერილში ველოსიპედისტები, — ძებნიაურის მაგვარად მოიქცეოდა ყოველი საბჭოთა სპორტსმენი, რადგან ჩვენი სპორტისათვის უცხოა მეტოქის მიმართ მტრული დამოკიდებულება“... შემდეგ ველოსიპედისტები დასძენენ: „ძებნიაური აღზრდილია ისეთი მწვრთნელის მიერ, როგორიცაა ა. ს. ხაბურზანია. ამიტომ არ არის გასაკვირი მისი ეს კეთილშობილური საქციელი. ამხ. ხაბურზანია ნამდვილი საბჭოთა მწვრთნელია — დაკვირვებული, გულისხმიერი, სამართლიანი. იგი მზად არის ყოველ სპორტსმენს ჩაუნერგოს დადებითი ჩვევები — კოლექტივიზმი, მეგობრობა, მოწინააღმდეგისადმი ამხანაგური დამოკიდებულება, დისციპლინა“.

* * *



ვ. ძებნიაური დისტანციაზე.

ამხ. ა. ხაბურზანიას მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზრდია. მათ შორის რესპუბლიკის უძლიერესი ველოსიპედისტები — ვ. ძებნიაური, ზ. კონსტანტინოვი, ჯონჯოლიანი და სხვ.

რედაქციაში შემოსული წერილის ავტორი პირველთანრიგოსანი ველოსიპედისტი ქალი ა. რუდენკო წერს: „მხოლოდ ორი წელია, რაც ტრეკზე ვმეცადინეობ. ეს არც თუ ისე დიდი დროა. მართალია, პირველ წელიწადს შედეგები მაინცდამაინც სახარბიელო არ მქონდა, მაგრამ მეორე წლის სეზონში შედეგები სწრაფად ავიმაღლე. ამ სეზონში დიდი მუშაობა ჩაატარა ჩემთან ამხ. ა. ხაბურზანიამ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, ყოველდღიური სერიოზული ვარჯიშის შედეგად 1949 წლის სეზონში დავამყარე 4 რესპუბლიკური რეკორდი, რომლებიც 15 წლის განმავლობაში არსებობდნენ. ჩემს მიერ მაღალი შედეგების მოპოვებაში დიდი ღვაწლი უდაოდ ამხ. ხაბურზანიას მიუძღვის, მასთან ჩატარებულ საწვრთნელ მუშაობას მიეწერება. ამხ. ხაბურზანიას სპორტსმენთა ვარჯიშის მხოლოდ ტექნიკური მხარეები როდი აინტერესებს, იგი გულისხმიერი ადამიანია, ველოსიპედისტთა ნამდვილი მეგობარი. მას აინტერესებს ჩვენი საყოფაცხოვრებო საკითხები — სწავლა, დასვენება და სხვ“.

ზემოჩამოთვლილი მაგალითები ცხადყოფენ იმას, თუ რაოდენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით არიან გამსჭვალული ველოსიპედისტები ღირსეული მასწავლებლისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენს გვერდზე

### საქმეს ძვრა არ ეტყობა

თბილისის ელექტროტექნიკურ ქარხანაში მთლიანად ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა. ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივში (თავმჯდომარე ამხ. ფრანგულაშვილი) მხოლოდ 22 მუშაა გაერთიანებული, ეს მაშინ, როდესაც საწარმოში მრავლადაა სპორტის მოყვარული ახალგაზრდობა.

ქარხანას ოდესღაც ჰქონდა სპორტული მოედანი, მაგრამ იგი დირექციის ბრძანებით გაუქმდა და ამჟამად გამოყენებულია ნამტვრევი ნაწილების საწყობად. ერთ დროს გადაწყვიტეს სპორტული მოედანი სხვა ადგილას გაეკეთებინათ, მუშაობა კიდევაც დაიწყო, მაგრამ ის ნაკვეთიც „დასჭირდათ“ და მუშაობა შეწყდა.

ქარხანაში არავინ ზრუნავს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის. ამის დასადასტურებლად საკმარისია შემდეგი ფაქტიც: საწარმოს მთ I საფეხურის... 10 ნიშნოსანი ჰყავს.

საჭიროა ქარხნის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დროულად მიაქციონ ყურადღება ამ არანორმალურ მდგომარეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ არავითარ დახმარებას არ უწევს ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს.

**ი. აკოფოვი**

**რედაქციისაგან:** ელექტროტექნიკური ქარხნის სპორტმოედნის მდგომარეობის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია. მის პასუხად თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ხუციშვილმა რედაქციას წერილი გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ ამჟამად სპორტული მოედანი გაწმენდილია და იგი სრულ წესრიგში ფიზკულტურელებს გადაეცა. ხელმეორე შემოწმებამ დაადასტურა, რომ ამხ. ბ. ხუციშვილის ოფიციალურ მომართვაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება.

ვფიქრობთ, ახლა მაინც იქნება მიღებული საჭირო ზომები და ეს საკითხი მოწესრიგდება.

### ზამთარს მოუმზადებლად შეხვდნენ

აჭარის სკოლების უმრავლესობა მზად არ არის ზამთრის სპორტული სეზონისათვის. ბათუმის მე-8 ქალთა საშუალო, მე-2 და მე-9 ვაჟთა რვაწლიან სკოლებში დღემდე არაა გამოყოფილი ოთახები ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარებისათვის. მახინჯაურის საშუალო სკოლაში, სოფელ ანგისას და ურეხის რვაწლიან სკოლებში, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონების მთელ რიგ სკოლებში არ არის გამოყოფილი სპორტული მუშაობისათვის აუცილებელი შენობები და ფიზკულტურის მასწავლებლებს გაკვეთილების ჩატარება საკლასო ოთახებში უხდებათ.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის ინსპექციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ზამთრის პერიოდში შესაძლებელი იქნეს სკოლებში ფიზკულტურული მეცადინეობების ნორმალური წარმართვა.

**შ. ბაჯელიძე**

**ბათუმი.**

### უპასუხისმგებლობა

ქ. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ამხ. ნ. დოლიძე) არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ წარმოებს. სკოლას ფიზკულტურის მასწავლებელიც კი არა ჰყავს. თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სადაც შეიძლებოდა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა, ხრეშითა და სილითაა სავსე.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი ასეთ უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

**ქ. ჩხაიძე**

**მახარაძე**

შენიშვნები ორი შეჯიბრების შედეგებზე

## კალათბურთი თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში

დამთავრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ტრადიციული საკლუბო პირველობა კალათბურთში. ქალაქის სასპორტო დარბაზებში ათ დღეს გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები, სადაც სპორტსმენებმა თამაშის მაღალი ტექნიკა გამოამჟღავნეს. გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა.

საკლუბო ჩათვლაში შედიოდა მამაკაცთა სამი და ქალთა ერთი ცალკეული გუნდების შედეგები. იმარჯვებდა ის კოლექტივი, რომლის წარმომადგენლები ქულათა მეტ რაოდენობას მოაგროვებდნენ.

საკლუბო ჩათვლასთან ერთად ტურნირს უნდა გამოემჟღავნებინა სტუდენტთა საუკეთესო გუნდები. მამაკაცთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი გუნდი, მეორე ადგილზე — უნივერსიტეტის კოლექტივი, მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, მეორე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა, მესამე — ფიზკულტურის ტექნიკუმის კალათბურთელებმა.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს საავიაციო ტექნიკუმის ვაჟთა და პედინსტიტუტის ქალთა გუნდებმა.

აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი პირველად ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა ახალი წესებით, რომლებმაც თამაშში სიცხადე შეიტანეს და მოედანზე მოთამაშეთა დისციპლინის ამაღლებას შეუწყეს ხელი.

ის ფაქტი, რომ 15-ზე მეტი მატჩი მხოლოდ დამატებითს დროში დამთავრდა და 40-ზე მეტის ბედი კი ერთი ან ორი ქულის უპირატესობამ გადაწყვიტა, ცხადყოფს გუნდების მაღალ სპორტულ ტექნიკას. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ჩემპიონის — ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდის გარდა, შეჯიბრება წაუგებლად ვერც ერთმა გუნდმა ვერ დაამთავრა. დამარცხების სიმწარე იწვნია აგრეთვე უნივერსიტეტის ვაჟთა ძლიერმა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ოფიცერთა სახლისა და „დინამოს“ ოსტატთა გუნდების მოთამაშენი—არღანაშვილი და გოძიაშვილი. უნივერსიტეტელი კალათბურთელები დამარცხდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან (მწვრთნელი—სპორტის ოსტატი ა. მესხი), რომელსაც ყველა შანსი აქვს გახდეს სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის მონაწილე მეორე ჯგუფში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივს ახასიათებს კარგი ტექნიკა, გამარჯვებისადმი მტკიცე ნებისყოფა და მოთამაშეთა გააზრებული ფიზიკური შერჩევა.

რამდენიმე სიტყვა ქალთა გუნდების შესახებ: 42 კოლექტივიდან მხოლოდ 10 იყო ქალთა. ეს რაოდენობა, ცხადია, ცოტაა თბილისის სტუდენტთათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ 1950 წლის საკლუბო პირველობაში შეყვანილ იქნეს ქალთა ორი გუნდი, რაც უეჭველად გამოიწვევს კალათბურთელ ქალთა დახელოვნების ზრდასა და ტექნიკის გაუმჯობესებას.

ტურნირში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გუნდი. მას სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდებმა გაუწიეს. თავის შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად გამოვიდა უნივერსიტეტის ქალთა გუნდი, რომელმაც მხოლოდ მეოთხე ადგილის დაკავება მოახერხა. დანარჩენნი — სასოფლო-სამეურნეო, რკინიგზის ინჟინერთა სატრანსპორტო, სამედიცინო, პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები და ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კოლექტივი თანაბარი ძალისა არიან.

ტურნირში ჩათვლის გარეშე მონაწილეობდნენ თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური საბავშვო სპორტსკოლის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები ხშირად სჯობნიდნენ კიდეც თავიანთ უფროს მოწინააღმდეგეებს. განსაკუთრებული ქების ღირსია ქალიშვილთა გუნდი (მწვრთნელები ამხ. გეგელაშვილი და ბაბახანოვი), რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში.

* * *

თუ შევაფასებთ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კალათბურთელებს, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტთა გუნდები სასახელოდ იცავენ ქალაქის სპორტულ ღირსებას სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრებებში.

მაგრამ, ცხადია, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენი მიზანია კალათბურთი სტუდენტთა შორის გავხადოთ უფრო მასობრივი, კიდევ უფრო ავამაღლოთ თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა.

უმაღლესი სასწავლებლების გუნდებმა უნდა შეიძინონ საქალაქთაშორისო შეჯიბრებების გამოცდილება, რისთვისაც მიზანშეწონილია საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ცენტრების სტუდენტთა უძლიერეს გუნდებთან შეხვედრების ხშირი ჩატარება.

**ლ. ძეკონსკი,**

**თბილისის კალათბურთის სექციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



თბილისელი ახალგაზრდა სპორტსმენი გივი კარტოზია (ქვესაშუალო წონა) ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავეა. მას არაერთხელ ბრწყინვალედ დაუცავს რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟი საკავშირო სარბიელზე. წარმატებით დამთავრდა აგრეთვე გ. კარტოზიას პირველი გამოსვლა საერთაშორისო შეხვედრაში ჩეხოსლოვაკელ მოჭიდავეებთან. სურათზე: გ. კარტოზიასა (მარჯვნივ) და ს. მესეშის (ჩეხოსლოვაკია) შებრძოლება თბილისის ცირკის ასპარეზზე.

ფოტო კ. კრიმსკისა

### ფარიკაობის სექცია სოფლად

ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის საშუალო სკოლის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის წევრებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს ფრენბურთის მოედანი და მძლეოსნობის სექტორები.

სპორტული სექციების მეცადინეობას ხელმძღვანელობს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ამხ. მალკინა. მან პირველად აჭარის სოფელში ჩამოაყალიბა ფარიკაობის სექცია, რომელშიც გაერთიანებული არიან მოსწავლეები.

სკოლას აქვს მარტივი ტიპის სასპორტო დარბაზი და აუცილებელი ინვენტარი.

**პ. სახეჩიძე**

**(ჩვენი საკ. კორ.).**

**ხულოს რაიონი.**

### სახელოსნო სასწავლებლის სექციებში

ბორჯომის № 7 სახელოსნო სასწავლებელში მაღალ დონეზეა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა. მოსწავლე ფიზკულტურელების ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით აქ მოეწყო სპორტული მოედანი, სადაც ზაფხულის პერიოდში მეცადინეობდნენ ტანვარჯიშის, ძალოსნობის, მძლეოსნობისა და ხასროლო სპორტის სექციები.

სიცივეების დადგომასთან ერთად სექციებმა მუშაობა გადაიტანეს საკუთარ სასპორტო დარბაზში.

ამჟამად სასწავლებლის აღსაზრდელები დიდი გატაცებით გადიან საწვრთნელ ვარჯიშს სათხილამურო სპორტში. სათხილამურო სექციაში, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, 50 მოსწავლეა ჩაბმული.

**ო. გელაშვილი**

**ბორჯომი.**

## ცხენოსნური სპორტის შემდგომი განვითარებისათვის

უკანასკნელი რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნურ სპორტში ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის თასზე გასულ წლებთან შედარებით გაცილებით უფრო ორგანიზებულად ჩატარდა და მაღალი სპორტული მაჩვენებლებით აღინიშნა. საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა (წალენჯიხა, აბაშა, ხობი, დუშეთი), რომლებსაც არა აქვთ შეჯიბრებაში მონაწილეობის დიდი ხნის გამოცდილებანი, ტურნირში კარგი შედეგები გვიჩვენეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წალენჯიხელთა მიღწევები. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა გასულ წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ფინალში, მან შეჯიბრების ურთულეს სახეში—კლასიკურ სამჭიდში პირველი ადგილი დაიკავა, საერთოდ კი მე-4 ადგილი და ფოთის გუნდს, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოში, მხოლოდ 50 ქულით ჩამორჩა.

წალენჯიხელთა წარმატება აიხსნება ცხენთა კარგი შერჩევით, მტკიცე შემჭიდროებული კოლექტივის შექმნითა და გუნდის მწვრთნელის ამხ. გ. კორძაიას სერიოზული და ენერგიული მუშაობით.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ზოგიერთი მოწინავე კოლექტივის ნაკლოვანებანი. დავიწყებ გამარჯვებული გუნდიდან.

ზუგდიდელებს, ჩემი აზრით, ყველა შესაძლებლობა გააჩნდათ იმისათვის, რომ ამჯერადაც მეტი სპორტული მიღწევები მოეპოვებინათ, ვიდრე წინა წლებში, რადგან მათი ცხენთა შემადგენლობა სხვა გუნდებზე გაცილებით უკეთესია. ცხადია, რომ ცხენთა და მხედართა კარგ შემადგენლობას მაღალი მიღწევები უნდა მოეცა. სინამდვილეში კი შემდეგი სურათი დავინახეთ: ზუგდიდის გუნდმა შეჯიბრების პროგრამის მთავარ სახეში — კლასიკურ სამჭიდში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (ჩამორჩა წალენჯიხისა და ცხაკაიას ცხენოსნებს). ორკილომეტრიან დოღიდან მათი მხედარი მოხსნილი იქნა, მარულაში 10 კილომეტრზე მათმა წარმომადგენელმა მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო 8 კილომეტრიან მარულაში—მე-5 ადგილი, ჩოგანბურთში ზუგდიდელები დაამარცხა გუდაუთის გუნდმა. რას უნდა მიეწეროს ეს? პირველ რიგში წვრთნის შეუფასებლობას. როგორც ჩანს, ზუგდიდის გუნდის ხელმძღვანელობა დააიმედა კოლექტივის წევრთა მოხდენილმა ჩაცმულობამ, ცხენთა კარგმა შემადგენლობამ და მისმა მოკაზმულობამ, ხოლო წვრთნა, რაც გამარჯვების პირველი საწინდარია, დაყენებული იქნა მეორე პლანზე.

მკითხველი დაინტერესდება, ალბათ, და იკითხავს: თუ ეს ასე იყო, მაშინ როგორ გამოვიდნენ ზუგდიდელები პირველ ადგილზე? ზუგდიდის გუნდის უპირატესობა გადაჭრა ისინდში მისმა პირველმა გამარჯვებამ: პირველი გამარჯვება კი ზუგდიდმა მოიპოვა ძალიან იოლად, ვინაიდან მას კენჭისყრით შეხვდა ამ სახეში სუსტი — სტალინირის კოლექტივი.

ცხაკაიას ცხენოსანთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია საქართველოში. ამას ადასტურებს ის, რომ მან პირველი ადგილი დაიკავა 2 კილომეტრიან დოღში, 8 და 10 კილომეტრიან მარულაში, ხოლო კლასიკურ სამჭიდში იგი მეორე ადგილზე გამოვიდა. მაშ, [illegible] რომ ის კენჭისყრით შეხვდა სპორტის ამ სახეში ყველაზე ძლიერ—ხობის გუნდს. გარდა ამისა ცხაკაიას გუნდს ისინდში შეჯიბრებისას არ ახასიათებდა კოლექტიურობა, რაც აუცილებელი პირობაა გამარჯვებისათვის, ამასთანავე გუნდის ხელმძღვანელმა ამხ. გ. ივანიძემ ძალები სწორად ვერ გაანაწილა ისინდის თამაშის დროს.

მკითხველთათვის ალბათ საინტერესოა, თუ ამ შეჯიბრებაში სიღნაღის ცნობილი გუნდი რატომ გამოვიდა გაცილებით უფრო ცუდად, ვიდრე წინა წლებში. ამის მიზეზია ის, რომ სიღნაღის გუნდს ჰყავდა ცხენთა ძალიან ცუდი შემადგენლობა (ეს მაშინ, როდესაც სიღნაღის რაიონი მდიდარია კარგი ცხენებით). ამასთანავე მას ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი ფ. მჭედლიშვილი და თვით გუნდი შედგება საუკეთესო ახალგაზრდა მხედრებისაგან. რაიონის ხელმძღვანელობამ დახმარება უნდა გაუწიოს თავის მხედრებს და საშუალება მისცეს გუნდს შეარჩიოს კარგი ცხენები.

ასევე ითქმის სამხრეთ ოსეთის, აჭარის, სამტრედიისა და სხვა გუნდების მიმართ. ისინი ცუდად გამოიყურებიან.

დასასრულ მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენი ყურადღება და დახმარება აკლია რესპუბლიკის აღმოსავლეთის რაიონებს.

რესპუბლიკური ცხენოსნური სექციის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გადაჭრით გაუმჯობესების ხელმძღვანელობა ცხენოსნური სპორტისადმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში და უზრუნველჰყოს 1950 წლის პირველობის საუკეთესოდ ჩატარება, მით უმეტეს, რომ ამ წელს სრულდება 10 წლისთავი ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის თასის დაარსებიდან.



ისინდის თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. დათუაშვილისა

**ი. კიზირია,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## მოკლე ცნობები

**სტალინირი.** ვაჟთა I და II საშუალო სკოლებში ჩამოყალიბდა კრივის სექცია, სადაც მეცადინეობა დაიწყო 30-ზე მეტმა მოსწავლემ.

**ნ. ზადიშვილი**

* * *

**სიღნაღი.** ერთ კვირას გრძელდებოდა ქალაქის ვაჟთა საშუალო სკოლის პირველობის გათამაშება კალათბურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა XI კლასის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

**ი. მინდორაშვილი**

* * *

**ჩხარი.** დამთავრდა ფეხბურთის მოედნის მშენებლობა სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლისათვის. მოედნის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე ფიზკულტურელებმა.

**რ. ხაჭაპურიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტის ქართული სახეების საკითხებისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სესიამ, მიძღვნილმა კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებისადმი, ერთი დღე დაუთმო მოხსენებებს სპორტის ქართული სახეების შესახებ, რომლებიც დამუშავდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. რობაქიძემ გააკეთა მოხსენება ქართული სპორტული თამაშის ცხენბურთის შესახებ. ცხენბურთი ზოგიერთის მიერ არასწორად იყო გაიგივებული აღმოსავლეთის ქვეყნებში (ირანი, თურქეთი და სხვ.) გავრცელებულ თამაშთან — პოლოსთან. ამ ქვეყნებში ცნობილი ცხენოსნური პოლოს შესახებ წერილობითი წყაროებისა და ილუსტრაციების შედარებამ ცხენბურთის გარშემო არსებულ მასალასთან სავსებით ნათელი გახადა, რომ ქართული ცხენბურთი როგორც თავისი ძირითადი ინვენტარით, ისე თამაშობის წესებითა და ტექნიკით არსებითად განსხვავდებოდა აღმოსავლური პოლოსაგან და წარმოადგენდა სრულიად ორიგინალურ ფორმას.

ქართული წერილობითი ძეგლების ცნობები და უცხო მოგზაურთა აღწერილობა-ჩანახატები უდაოდ ადასტურებენ, რომ, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, აღმოსავლეთის ქვეყნებში (ირანი) და ევროპაში (იტალია) უკვე ცნობილი იყო ე. წ. „ქართული ჩოგნის“, როგორც მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელი სპორტული თამაშობის არსებობა საქართველოში.

მოხსენებაში ცხენბურთი განხილული იყო როგორც რთული სპორტული თამაშობა, მიღებული ცხენოსნური სპორტისა და ბურთაობის შერწყმის შედეგად. ამხ. რობაქიძის მიერ წარმოდგენილი წერილობითი წყაროების მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ ცხენოსნური სპორტის განვითარების მეტად მაღალ დონეს საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულიდან მოყოლებული და ჯოხბურთის სახეობათ: მდიდარ მრავალფეროვანებას.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ელაშვილის მოხსენება ხევსურულ „ცხენნის“ მიეძღვნა. მომხსენებლის მიერ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ ხევსურეთში ცხენოსნობის ეს ფორმა წარმოადგენს ხალხური სპორტის უძველეს სახეობას. ჩვეულებრივ იგი დაკავშირებული იყო მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიალთან. დადგენილია, რომ ხევსურეთში ბავშვები 8-10 წლის ასაკიდან იწყებენ მხედრობის ხელოვნების შესწავლას და 14-15 წლის ასაკში უკვე მშვენივრად ფლობენ ცხენს.

ცხენების გადარჩევა ხევსურეთში მათი თვისებების მიხედვით იციან. ცხენის დანიშნულების მიხედვით ხევსურეთში ასხვავებენ „მარბოლს“, „მეწინავეს“, „მეორადს“ და სხვ. კვიცის გახედვნა იქ სამი წლის ასაკიდან იწყება.

ზემოხსენებული გამოკვლევების მეოხებით შესაძლებელი ხდება ამ თამაშობის წინად შედგენილი წესების დაზუსტება, ხოლო საცდელი თამაშობა, ჩატარებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ცხენოსნური სპორტის სექციის მიერ კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ქართული სპორტის ამ სახეების აღდგენის საჭიროებას, რომლებიც წარმოადგენენ თვალწარმტაც სანახაობას და ადამიანში მაღალ სპორტულ თვისებებს გამოიმუშავებენ.

**ბ. ჩიკვაიძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



გორის სპორტული სკოლა. ორძელზეა მერვეკლასელი ც. მაკრახაძე.
ფოტო ვ. რუსეცკისა.

სოსო იორამაშვილი

# მოჭიდავე



კიდევ გაისმა ზურნის ხმა და წრეში გამოხტა ხალხის საყვარელი მოჭიდავე — გოლა.

— ჰაი დედასა თავის ჯანზე იყოს. თითონ იცოდა გოლამ, მაგრამ ეს ოხერი სიბერე ვის არ მოერევა?

— აფსუსი არ არის, რომ ასეთი ვაჟკაცი დაჩაჩანაკდეს,—იძახოდნენ გოლას ნაცნობნი, და ყველამ წინდაწინ იცოდა მისი ხერხები.

პირველ გასვლაზე გაქანდებოდა მეხივით და მხრებზე რომ დაეჯახებოდა, თუ მოპირდაპირე მაგრად არ დახვდებოდა, ბუმბულივით გაიტაცებდა და გადაქელავდა ხოლმე. შემდეგ შემკრთალ მოჭიდავეს ბეჭზე წამოიკიდებდა, ისედაც დაბნეულს სულ დააბნევდა, თუ მაშინაც ვერ გადაიტანდა, შუა სარმას გაუკეთებდა, რომელიც იშვიათად უმტყუნებდა (ამიტომ ეძახდნენ მის ფეხს „შხამიანს“) და თუ მოჭიდავე მაინც გაუმაგრდებოდა, მაშინ შუა სარმას ელვასავით დასხლეტდა ან მოგვერდს ან გარეთა სარმას გადაჰკრავდა და ეს იყო მისი უკანასკნელი ხერხი. ამას მისი მოწინააღმდეგენი ველარ უძლებდნენ.

ყველა ამ ხერხს ისეთ თანმიმდევრობით და სწრაფად აკეთებდა, რომ მოპირდაპირე მთელი ჭიდაობის დროს გაბრუებული ჰყავდა და არ აძლევდა მოფიქრების საშუალებას, რომ მასაც თავისი ხერხები გამოეყენებინა.

ახლაც გავიდა თუ არა გოლა, ხალხმა უკვე იცოდა, რომ პირველი ნახტომისათვის ემზადებოდა.

ხერხეულიძეც მიხვდა, რომ ეს ვილაც გოლაა, ბურჯანა ბიჭს არა ჰგავსო. ახლა მასაც სახეზე წინანდელი სიმშვიდე აღარ ეტყობოდა.

გოლამ ერთი შეხედა ბულა მოზვერივით და თვალებით ბურღვა დაუწყო. ხალხი გაინაბა. მარტო ზურნის ხმა ისმის.

ხერხეულიძეს ახლა სახე აღარ უღიმის, ტუჩები ნერვიულად მოჰკუმვია, ისიც გრძნობს ლომისებური ნახტომის მოახლოვებას და მოპირდაპირეს თვალს აღარ აშორებს: ალბად მასპინძლებმა თუ გააფრთხილეს?

წამიც და გოლა მოსწყდა ადგილიდან. იმ პირველ წუთებში, როცა გოლას ნაცნობები ველოდით, რომ ხერხეულიძეს გოლას ფეხებთან უნდა ებორიალნა დაბნეულს, მოხდა სულ სხვა: ხერხეულიძის მხრებზე თითქოს კუნძი გადააგდესო, ისე გადაიარა ჰაერშივე გადასროლილმა გოლამ და ცხვირით წაერია მიწას.

ხალხი შეზანზარდა. ყველა ერთიმეორეს აწყდებოდა, რომ კარგად დაენახათ რა მოხდა.

გოლამ სიმშვიდე არც ახლა დაჰკარგა: გადატყავებულ ცხვირისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, თითქოს ჩვეულებრივ მშვიდად მდგომ ხერხეულიძეს წასწვდა საყელოში და თვალის დახამხამების უმალ ხერხეულიძის ფეხები გოლას ზურგთან ატრიალდნენ, მაგრამ ასაკით დაყანდებულმა მუხლებმა უმტყუნეს ბებერ მოჭიდავეს და წაფორხილებული ქვეშ მოჰყვა პირქვე.

ხალხმა ამოიგმინა და ერთხელ კიდევ დასწყევლა სიბერის მომგონი, ხოლო ზოგიერთმა ცრემლიც ველარ შეიმაგრა, როცა მესამედ წამომდგარ გოლას თავის საყვარელ შუა სარმის გაკეთება აღარ დააცალა ხერხეულიძემ; გაბრაზებული დასწვდა მხრებში და ისე შემოატრიალა ჰაერში ორჯერ, რომ მიწისთვის ფეხიც აღარ დაუკარებინებია და ისე წააქცია ერთ დროს დაუმარცხებელი ფალავანი.

ბებერი გიო გულაჩუყებული გაიძახოდა:

— ვაი რა მიქარვა მომივიდა, ვაი სირცხვილო! ასე რამ გამომაყეყეჩა, რომ ეს ჯანგატეხილი კაცი ასეთ ულაყ ბიჭს დავჭიდეო,—მერე დამარცხებულ გოლასთან მივიდა. ის გამოეყვანათ წრის გარეთ, დაღლილი სულს ძლივს იბრუნებდა. გიომ ბევრი ბოდიში იხადა, ბევრი ჰკოცნა დასისხლიანებულ სახეზე და კინაღამ ცრემლითაც დაასველა, მაგრამ შეცდომის გასწორება ახლა გვიან იყო.

— რა შენი ბრალია, ძია გიო. მე თვითონ ამ ოხერმა გულმა აღარ მომითმინა და შენ რა ბოდიშს იხდიო, — უპასუხა სახეგაფითრებულმა გოლამ.

ჭიდაობა უხალისოდ გაგრძელდა. ხერხეულიძეს თავის მასპინძლებმა უსაყვედურეს: „ჩვენი საყვარელი მოჭიდავე იყო და თუ აქცევდი, აგრე აბუჩად მაინც არ უნდა დაგეჭირაო“.

სტუმარმა თუმცა ქედმაღლური, მაგრამ მაინც მოხდენილი პასუხი გასცა საყვედურზე.

— მე რომ საჭიდაოდ წამოვედი, გადაწყვეტილი მქონდა, ისე დამემარცხებინა აქაური მოჭიდავეები, რომ არც ერთი ჩემი ხერხი არ უნდა მეხმარა. მაგრამ თქვენც და თქვენმა გოლამაც მიიღეთ ჩემგან სულგრძელობად ის, რომ მე თქვენ ანგარიში გაგიწიეთ, ჩემს გადაწყვეტილებას ვუღალატე და ბოლოს მეც შეტევაზე გადავედიო.

მასპინძლებს ეამაყებოდათ გამარჯვებული სტუმარი და მისი ენამჭევრობითაც მოიწონეს თავი ნაყმევ გლეხებში.

ხერხეულიძე გამარჯვებულის იერით იდგა თავის მასპინძლებში, ცნობისმოყვარე ხალხს დინჯი და თავდაჭერილი ღიმილით გადახედავდა ხოლმე.

მაგრამ სოფელი დაუდეგარია. არ უნდოდათ ბიჭებს ქალაქელისათვის გამარჯვება შეერჩინათ.

კიდევ გამონახეს ხელღონიერი ბიჭი —მეწისქვილე გიორგი, მხოლოდ ჭიდაობაზე კი დიდხანს ვერ დაათანხმეს, რადგან საეროდ არსად არ ეჭიდავნა და სცხვენოდა. მაგრამ მისი ძალის ამბავი მთელმა ხეობამ იცოდა, ათფუთიან ფარდაგის ტომრებს პატარა პარკებივით აბურთავებდა და ისე, მესაფქვავის დაუხმარებლად შეჰყრიდა ხოლმე ურემზე. ბოლოს გიორგიც მიხვდა, თუ რად ეხვეწებოდნენ ისე გულის ტკივილით და რაც მთავარია, მასაც ხვდებოდა ის სირცხვილი, რაც მის მეზობლებს დაემართათ.

— კარგით მაშ! მოიტათ ჩოხა. შეიძლება ვერ წავაქციო, მაგრამ იმის იმედსაც გაძლევთ, რომ ვერც ის წამაქცევსო, — გაამხნევა გიორგიმ მეზობლები.

—თი, შენი ჭირიმე, შენი, ბიჭო!— შესძახეს და ხალხს გამოცოცხლება დაეტყო.

დამარცხებით დაღონებული და ბოლმა მორეული ხალხი ისევ საჭიდაო წრეს მოაწყდა. წესრიგის დამცველებმა ერთხელ კიდევ გამოიჩინეს მარიფათი და ხერხეულიძეც მესამედ გადმოვიდა საჭიდაოდ.

მეწისქვილე სანამ ტანისამოსს გაიხდიდა, მანამდეც მის ბრინჯაოსფერ სახეზე დაყრილი შავი ჭორფლი გაგრძნობინებდათ, რომ ამ კაცში რაღაც უტეხი ძალა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა უფერული ტანისამოსი მოიცილა და აშკარად გამოჩნდა მისი აღლიანი ბეჭები და კუნთებდაგრაგნილი ბარძაყის სიმსხო მკლავები, მისი მნახველი იტყოდა: ეს კაცი მართლაც ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმულიო.

გიორგიმ უცერემონიოდ გასწია მოპირდაპირისაკენ, ხელი ჩამოართვა და აღარც განძრეულა იმ ადგილიდან, სანამ ხერხეულიძე არ მიტრიალდა მისალმების შემდეგ.

ხერხეულიძემ აღარ დამალა თავისი ხერხები. ხელის მოკიდების უმალ მარცხენა ფეხი გამოუსვა ცელივით, მაგრამ მუხის ბოძს მოახვედრა. ელვის უმალ გარეთა სარმა გადაუქნია და ამ დროს თითქოს ხანჯალი გაუტარესო, ისე დაიკლაკნა ხერხეულიძე და შეჩერდა; მერე რაღაც უხერხულად წამოკიდება სცადა, მაგრამ ბრინჯაოს მეწისქვილე ვერც ამით გადრეკა.

(დასასრული იქნება)

* გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 1.

## წერილები მწვრთნელებზე

# განსაკუთრებული მაყურებელი

აგურმოყრილ, დატკეპნილ მოედანზე სწრაფად მიმორბიან სპორტსმენები... ბურთი ელვის სისწრაფით გადადის ხელიდან ხელში. აი, მოქნილი მოძრაობით ბურთი ზუსტად იქნა გადაცემული და ფარქვეშ გასულმა მოთამაშემ ოდნავი შეხტომით იგი კალათში მოათავსა...

თავბრუდამხვევი ტემპი, კომბინაციათა მრავალფეროვნება, მოთამაშეთა წარმტაცი ელასტიკურობა განსაკუთრებით საინტერესოს ხდის კალათბურთელთა მატჩს, რომლის მსვლელობას დაძაბულადადევნებს თვალყურს მრავალრიცხოვანი მაყურებელი. ამათ შორის მუდამ არის ერთი განსაკუთრებული მაყურებელი, რომელსაც აღელვებს არა მარტო ის, თუ ვინ მოიგებს შეხვედრას, არამედ ვინ იწყებს და ამთავრებს კომბინაციებს, როგორია ცალკეული მოთამაშის ტექნიკური, ტაქტიკური მომზადება და მრავალი სხვა.

ეს განსაკუთრებული მაყურებელი მწვრთნელია. მისი გუნდის მიერ ჩატარებული ყოველი მატჩი შეჯამებაა იმ დიდი და საინტერესო მუშაობისა, რომელსაც იგი ატარებს თავის აღსაზრდელებთან. შეჯიბრების დროს მწვრთნელი ცხადად ხედავს თავისი საქმიანობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. აი, რატომ ღელავს და რატომ განიცდის ასე ძლიერ თვითეულ შეხვედრას მწვრთნელი.

შესანიშნავად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მაყურებლები ქებით იხსენიებენ არა მარტო იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ისახელეს თავი, არამედ მწვრთნელებსაც, რადგანაც გუნდის წარმატება მათი დაუღალავი შრომითაც არის მიღწეული.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებს შორის არის აგრეთვე კალათბურთში სსრ კავშირის თასის პირველი მფლობელის თბილისის „დინამოს“ გუნდის ერთ-ერთი წევრი, სპორტის ოსტატი მიხეილ კეკელიძე.

მეოთხე წელია რაც მ. კეკელიძე წვრთნის თბილისელ მოსწავლე კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს. მის მუშაობას განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს და ართულებს ის, რომ მისი აღსაზრდელები ზრდისა და ფიზიკური ფორმირების პროცესში მყოფი ახალგაზრდები არიან.

ცნობილია, რომ კალათბურთის თამაში დიდ ფიზიკურ დატვირთვას იწვევს. ამიტომ საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს მოზარდ კალათბურთელთა საერთო ფიზიკურ მომზადებას, რათა ორგანიზმი არ გადაიღალოს. ყველაფერი ეს კარგად აქვს გათვალისწინებული მ. კეკელიძეს — მოწინავე სპორტსმენს, მწვრთნელსა და ფიზკულტურელთა აღმზრდელ-პედაგოგს.

წვრთნის პროგრამაში ერთმანეთს თანმიმდევრობით სცვლიან საერთო ფიზიკური მომზადების ელემენტები — მოკლე გარბენები, ხტომები, კალათბურთისათვის დამახასიათებელი ბრუნვები, თავისუფალი ვარჯიში ზედა და ქვედა კიდურების გასავითარებლად და სხვ. ამის შემდეგ იწყება თამაშის ტექნიკის შესწავლა, რომელშიც შედის ბურთის მიწოდება გულ-მკერდის არედან, ცალი ხელით გადაცემა მარცხენა და მარჯვენა გვერდიდან... დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე ტაქტიკის ელემენტებს.

განმარტებული ელემენტების საბოლოო დამუშავება და ათვისება 10-20 წუთიან თამაშებში ხდება, რომლის დროსაც კალათბურთელებს ეძლევათ სპეციალური ამოცანები.

ასე აღზარდა მ. კეკელიძემ შესანიშნავი ახალგაზრდა სპორტსმენები — თბილისის მოსწავლე კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მოთამაშეები.

ამ გუნდმა 1948 წელს მოიპოვა რესპუბლიკის პირველობა ბავშვთა შორის, ხოლო ამავე წელს ოდესაში მათ წილად ხვდათ საკავშირო ჩემპიონობა. 1949 წელს გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში და პირველ ადგილზე გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ამ მეგობრულ კოლექტივში მომზადდა მთელი რიგი საუკეთესო კალათბურთელები, რომლებიც მოზრდილთა ასაკში გადასვლის შემდეგ წარმატებით თამაშობენ თბილისის სხვადასხვა გუნდში. მაგალითად — დ. გოძიაშვილი და თ. მემარიაშვილი „დინამოს“ გუნდის წევრები არიან, ვ. ანანიაშვილი, ნ. გიორგობიანი და სხვები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას იცავენ...

— გუნდის წარმატების საფუძველს წარმოადგენს მოთამაშეთა და მწვრთნელს შორის მჭიდრო კავშირი, ურთიერთგაგება და პატივისცემა, საქმისადმი სიყვარული, — თქვა მ. კეკელიძემ. ნორჩი კალათბურთელები ქ. გვანცელაძე (გუნდის კაპიტანი), ე. ჯიქია, ე. ნემსაძე, ო. მესხიშვილი, ა. კალმიკოვი, ა. ჩხარტიშვილი და სხვები მოწინავე ფიზკულტურელები არიან. მათი ფიზიკური მონაცემები, კალათბურთის თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფილად ათვისების დიდი სურვილი იმის საწინდარია, რომ ისინი მომავალში შესანიშნავი სპორტსმენები გახდებიან.

მ. კეკელიძეს, როგორც კალათბურთელს, მიმდინარე წელს მიზნად აქვს დასახული უფრო აიმაღლოს სპორტული ოსტატობა და თავის ამხანაგებთან ერთად შემდგომშიც შეინარჩუნოს თასი, იბრძოლოს საკავშირო ჩემპიონობისათვის, ხოლო როგორც მწვრთნელმა, თავდადებით განაგრძოს მუშაობა კალათბურთელთა ახალი კადრების აღზრდისათვის.

**ე. უზნაძე**

## ფიზკულტურის ქრონიკიდან

სოფელ ცაიშის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. სასოფლო-სამეურნეო არტელის სპორტულ სექციებსა და წრეებში ჩაბმულია მოწინავე ახალგაზრდობა.

კოლმეურნე ფრენბურთელები და კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები და მძლეოსნები სისტემატურად ატარებენ საწვრთნელ მეცადინეობას.

კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა შარშანდელ სეზონში კარგად ჩაატარა შეჯიბრება და იგი საკოლმეურნეო კოლექტივებს შორის კვლავ რაიონის ჩემპიონი გახდა.

• • •

ინგურის ქაღალდის კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს. აქ ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სექციები, სადაც ტარდება საწვრთნელი ვარჯიშები და ეწყობა შეჯიბრებები.

**ბ. ალშიბაია**
ზუგდიდის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

სპორტის ოსტატ ა. ებრალიძის რედაქციით.

## ჭადრაკის ნოტაცია ქართულ ენაზე

ჩვენი გაზეთის ჭადრაკის განყოფილებაში მოთავსებული მასალების წაკითხვის გასაადვილებლად „ლელოს" დღევანდელი ნომრიდან ვისარგებლებთ ახალი, ქართული ნოტაციით, რომლის ახსნა თვალსაჩინოა ქვემოთ მოთავსებული მასალიდან.



როგორც ვხედავთ, ლათინური ასოები — a, b, c, d, e, f, g და h შეცვლილია შესატყვისი ქართული ასოებით—ა, ბ, ც, დ, ე, ფ, ქ და ჰ.

ლათინური ასოების ქართულით შეცვლასთან დაკავშირებით საჭიროდ ვცანით ზოგიერთი ცვლილებანი ფიგურათა აღნიშვნაში.

მეფეს აღვნიშნავთ მისი სახელწოდების პირველი ასოთი—მ (და არა მფ-თი), ლაზიერის აღნიშვნა რჩება ძველებურად—ლ, ეტლი აღინიშნება მისი სახელწოდების მეორე ასოთი—ტ („ე" ხაზში მისი არევის თავიდან აცილების მიზნით), კუს აღნიშვნა რჩება ძველებურად—კ, მხედარს შეეცვალა სახელწოდება და მას აღვნიშნავთ ასო რ-თი (სიტყვა „რაშიდან").

ქვემოთ მოგვყავს თბილისის ჩემპიონატის ერთ-ერთი პარტია, რომელიც ჩაწერილია ახალი, ქართული ნოტაციით.

**თეთრები:** ოსტატობის კანდიდატი ბ. ვეიზერი.

**შავები:** ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე.

1. ე2-ე4 ც7-ც5; 2. რქ1-ფ3 დ7-დ6; 3 დ2-დ4 ც5:დ4; 4. რფ3:დ4 რქ8-ფ6; 5. რბ1-ც3 ა7-ა6; 6. კფ1-ე2 ე7-ე6; 7. ფ2-ფ4 ლდ8-ც7; 8. კე2-ფ3 რბ8-ც6; 9. 0-0 ლც7-ბ6; 10. კც1-ე3 ლბ6:ბ2; 11. რც3-ა4 ლც2-ა3; 12. ც2-ც3 დ6-დ5; 13. ე4:დ5 ე6:დ5; 14. ტფ1-ე1 რც6-ე7; 15. რდ4-ფ5! კც8-დ7; 16. კე3-ც5! კდ7:ა4; 17. კც5:ა3 კა4:დ1; 18. ტა1:დ1 რფ6-ქ8; 19. რფ5-დ6+.



საბოლოო პოზიცია
შავები დანებდნენ.

## მოსწავლეთა გუნდური პირველობა

დამთავრდა მოსწავლეთა გუნდური შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზის სახლის მოჭადრაკეთა კოლექტივმა, რომელმაც 60 შესაძლებლიდან მოაგროვა 46 ქულა. მეორე ადგილზე 44 ქულით გამოვიდა ბერიას სახელობის რაიონის მოსწავლეთა გუნდი.

## სპორტული დილა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას. კვალიფიციური მასწავლებლებისა და მწვრთნელების ხელმძღვანელობით მოსწავლეები სისტემატურად მეცადინეობენ ფიზკულტურაში, გაერთიანებული არიან სპორტულ სექციებში, სადაც დიდი გატაცებითა და მონდომებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს.

უნივერსიტეტში ხშირად იმართება შეჯიბრებები, ჩემპიონატები, საჩვენებელი გამოსვლები და სხვ. ამ დღეებში აქ მოეწყო დიდი სპორტული დილა, რომელიც ძალოსანთა გამოსვლით გაიხსნა. სტუდენტებმა სპორტული მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს. ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ო. ჭიჭინაძემ (ქვემსუბუქი წონა) ორი ხელით აჭიმა 97,2 კილოგრამი, რაც სპორტსაზოგადოება „მეცნიერებისა" და უმაღლესი სასწავლებლების ახალი საკავშირო რეკორდია.

შეჯიბრებაში მონაწილე სტუმრებმა — კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ჰ. ბასილაძემ (მსუბუქი წონა) მარცხენა ხელით აკვრაში (72,7 კგ.) საქართველოს რეკორდი დაამყარა, ხოლო ვ. ბასილაძემ მარჯვენა ხელით 91,35 კგ. აჰკრა, რაც ასევე რესპუბლიკური რეკორდია.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე მოკრივეთა, მოჭიდავეთა, მოფარიკავეთა, ტანმოვარჯიშეთა და სხვათა გამოსვლებმა, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. თუჯიშვილმა, ჯ. მეძმარიაშვილმა, გ. ქველიძემ, მ. ღუდუშაურმა, რ. ახალაძემ, ვ. კულუმბეგაშვილმა და სხვ.

სპორტულ დილას დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

კ. გელაშვილი

## კალათბურთელთა ტურნირი

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). დამთავრდა საქალაქო საზამთრო პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ტურნირში, რომელიც 8 დღეს გრძელდებოდა, მონაწილეობა მიიღო სამოცდაათზე მეტმა ფიზკულტურელმა.

პირველი ადგილი და ქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა „სპარტაკის" გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ბავშვთა სპორტული სკოლის კალათბურთელთა პირველი კოლექტივი, მესამეზე—შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კალათბურთელები.

## ობიექტივით ჩვენს ქვეყანაში






მოსკოვში დიდი ინტერესით გრძელდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა შეხვედრები მეტად მძაფრი ბრძოლებით ხასიათდებიან. ჩემპიონატის დამთავრებას სულ რამდენიმე ტური უკლია, მაგრამ ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ ვინ მოიხვეჭს მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულს. **სურათზე:** (ზევით): შეჯიბრების მონაწილენი ე. კელერი და ვ. ბელოვა თამაშის დროს.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა.

* * *

საბჭოთა კავშირის მოციგურეები ინტენსიურ საწვრთნელ მუშაობასთან ერთად საინტერესო შეჯიბრებებს ატარებენ. სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან საკავშირო პირველობის გათამაშებისათვის. **სურათზე:** საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი 1.500 მეტრზე რბენაში ლენინგრადელი ბ. ბერეზინი ვარჯიშის დროს.

ფოტო ლ. დორენსკისა.

## საკავშირო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში

**მოსკოვი.** (ჩვენი კორ.). მოსკოვის, ლენინგრადის, ტალინის, რიგის, სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის სტადიონების ყინულოვან მოედნებზე გრძელდება საინტერესო ბრძოლები ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის საკავშირო პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში.

გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში ჯერჯერობით მოკალათებული არიან მოსკოვის კოლექტივები —ცდკა, ვვს, „დინამო", „კრილია სოვეტოვი", „სპარტაკი", აგრეთვე სვერდლოვსკის „დინამო".

განსაკუთრებით დიდი წარმატებით თამაშობს გასული წლის ჩემპიონი—ცდკა. არმიელთა კოლექტივი ტურნირის ლიდერია. მას ყველა მატჩი მოგებული აქვს.

ჰოკეისტთა შეხვედრები მეტად მძაფრი ბრძოლებით აღინიშნება და მაყურებელთა დიდ რაოდენობას იზიდავს.

## უცხოეთის ფოსტიდან

### ოთხფეხა ჩემპიონის მოტრფიალენი

საფრანგეთის მშრომელთა სიღატაკისა და აუტანელი გაჭირვების ფონზე ნათლად მოსჩანს ბურჟუაზიის განცხრომით ცხოვრების კონტრასტი.

იმ დროს, როცა უმუშევარი შიმშილში ატარებს თვეებს და ნიჭიერი სპორტსმენი იძულებულია ლუკმაპურისათვის რომელიმე სპორტულ კლუბს მიეყიდოს, ფრანგი კაპიტალისტები მოვლა-პატრონობასა და მზრუნველობას არ აკლებენ... ფინიებს!

ამასთან ისინი ცდილობენ ყველასათვის ცნობილი, ჩვეულებრივი ოთხფეხა ცხოველი მონათლონ არა მარტო თავისი საკუთარი სახელით, ვთქვათ, „ვიშნუთი", არამედ დაუმკვიდრონ მაღალი ტიტულიც, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „ჩემპიონი"!

და, აი ამას წინათ ზოგიერთმა გაზეთმა ხმაურის კორიანტელი დააყენა „ჩემპიონ ვიშნუს" შესახებ, რომელიც მაღალი წოდების არსებას ამედეი დე ბროგლის ეკუთვნის.

ფინია „ვიშნუ" თურმე 150.000 ფრანკად ფასობს!

მაშ, რაღა ეღირება მისი შენახვა? არც ამ კითხვას სტოვებენ უპასუხოდ ცნობისმოყვარენი.

150 ფრანკი ყოველდღიურად!

ეს ციფრი თავისთავად გასაგები იქნება, როცა მას შევადარებთ ფრანკების იმ რაოდენობას, რასაც დროებითი დახმარების სახით ღებულობს საფრანგეთის „მესამე რესპუბლიკის" ერთ-ერთი დამაარსებლის ლეონ გამბეტის შთამომავალი. 74 წლის ლუიზა გამბეტას სამჯერ ნაკლებ დახმარებას წყალობენ, ვიდრე... ფინიას! ღრმა მოხუცი ამას წინათ ნახეს სასადილოს რიგში... ერთი თეფში უფასო კერძის მისაღებად... ვინ იცის, ამ დროს ალბათ „ჩემპიონი" ფინია ტკბილ ნამცხვრებს უდარდელად შეექცეოდა!

საფრანგეთის ერთ-ერთმა გაზეთმა ამას წინათ ახალმოვლენილ ოთხფეხა ჩემპიონის ფოტო მოათავსა და სურათი უძღვნა იმ სათამაშოებს, რომელთა შეძენა ძაღლის გასართობად 20.700 ფრანკი დაჯდა!

ჭეშმარიტად, სანაქებო „სპორტსმენი" მოევლინა ფრანგ ბურჟუებს უსაქმური ამედეი დე ბროგლის სახით. ხუმრობა ხომ არ არის ისეთი ძაღლის გამოზრდა, რომელიც დღეში 150 ფრანკის საჭმელს ნთქავს და რომელსაც „ჩემპიონი ვიშნუ" დაერქვა!

სწორედ ასეთი უსაქმურებისათვის დაამუშავა ამ დღეებში კოლონიების სამინისტრომ ეკვატორულ აფრიკაში ჟირაფებსა და ნიანგებზე ნადირობის რეგლამენტი. როგორც გაზეთმა „მონდმა" გამოიანგარიშა, თვითეული ასეთი ნადირობა ნახევარ მილიონამდე ფრანკი ჯდება.

ნახევარი მილიონი, რასაკვირველია, დიდი თანხაა, მაგრამ მარტო ეს როდი სწყვეტს საკითხს. როგორც ცნობილია, ჟირაფს მეტად გრძელი კისერი აქვს, რომ მსგავსი „სპორტსმენის" ნასროლმა მალე იმსხვერპლოს. ამასთან „თუ მტერი შეამჩნია, ადვილად შველის თავს სწრაფი გაქცევით, ანდა იცავს თავს თავისი ორი პატარა ძვლის წინაზარდით"...

საეჭვოა ოთხფეხა ჩემპიონების მოტრფიალეებმა აფრიკის ჯუნგლებში ნადირობით რაიმე სპორტული დიდება დაიმკვიდრონ!

ჯ. ივანიშვილი

## ქრონიკა

⊙ პოზნანში დ მთავრდა პოლონეთის საჭადრაკო ჩემპიონატი. გაიმარჯვა პლატერმა, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა ტურნირი და 16 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა.

⊙ სოფიაში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და ალბანეთის ფეხბურთელთა ნაციონალური ნაკრები გუნდები. მატჩი მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მიუხედავად ორივე მხარის იერიშებისა, დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

# საზღვარგარეთის სტადიონებზე

### მუშათა სახსრებით

მონტრეალში (პარიზის გარეუბანი) ჩატარდა საფრანგეთის მუშათა სპორტული ფედერაციის სახსრებით აგებული სტადიონის გახსნა. 30 ათასი მაყურებლის წინაშე დიდი სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო.

შემდეგ ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა, მოცურავეთა და მძლეოსანთა გამოსვლები. ალჟირელმა მიმუნმა მოიგო შეხვედრა 3.000 მეტრზე რბენაში,—უჩვენა 8 წუთი და 49,0 წამი. ლეგრენმა ურო სტყორცნა 50,11 მეტრზე.

### ოლიმპიური ჩემპიონის დამარცხება

5.000 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი ბელგიელი გასტონ რაიფი შეხვდა ჰოლანდიელ სლიუკჰისს 1.500 მეტრის დისტანციაზე. ფინიშთან პირველი მივიდა სლიუკჰისი — 3:43,8 (მესამე დრო მსოფლიოში). რაიფმა ეს მანძილი გაირბინა 3 წუთსა და 46,0 წამში.

ამავე შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ჰოლანდიელმა ფ. ბლანკერს-კოენმა შეჯიბრება მოიგო 200 მეტრზე რბენაში—24,6; ინგლისელმა ქალმა ტეილორმა გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 165 სანტიმეტრი.

### ხუთი საუკეთესონი

ბულგარეთის გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა" გამოაქვეყნა 10.000 მეტრზე რბენაში ხუთი საუკეთესო შედეგი. ეს ხუთეული ასე გამოიყურება: ე. ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია)—29:21,2 (1949 წ.); ვ. ხეინო (ფინეთი)—29:27,2 (1949); ტ. მეკი (ფინეთი)—29:52,6 (1930); ქ. მიმუნი (საფრანგეთი) — 29:53,0 (1949); რ. სტოკენი (ნორვეგია) —29:58,6 (1949).

### ბულგარელ მძლეოსანთა წარმატებები

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მძლეოსნებმა უკანასკნელ შეჯიბრებებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მათ მთელი რიგი ნაციონალური რეკორდები გააუმჯობესეს.

აი რამდენიმე მათგანი: კოლევმა 100 მეტრი დაფარა 10,8 წამში; მატინჩმა 400 მეტრი—49,9 წამში, გეორგიევი გადახტა 184 სანტიმეტრ სიმაღლეზე; სტეფანოვი ჭოკით გადახტა 3,91 მეტრზე; კალინკოვმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 7,01 მეტრი.

### „იუმანიტეს" ჯილდოზე

საფრანგეთის სპორტული მუშათა ფედერაციის უძლიერესი ველოსიპედისტების შეჯიბრებები გაზეთ „იუმანიტეს" ჯილდოზე შესანიშნავი შედეგებით აღინიშნა. 180 კილომეტრი ალიკსმა 4 საათში, 48 წუთსა და 34 წამში დაფარა. ქალთა შორის 80 კილომეტრზე გამართულ ველომარულაში გაიმარჯვა მარია ჟანა-დონამ, რომელმაც მანძილი 2 საათში, 44 წუთსა და 42 წამში გაიარა. პრევომ გაიმარჯვა 4 კილომეტრიან მარულაში—5:46,0.

### ჩეხოსლოვაკელი მარათონელის გამარჯვება

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა უძლიერესმა მარათონელმა ფიალამ მონაწილეობა მიიღო ავსტრიაში გამართულ მარათონულ რბენაში (ვენა). მან უკან ჩამოიტოვა ყველა მისი მეტოქე და მანძილი 2 საათში, 35 წუთსა და 14 წამში დაფარა.

### „სლავიას" რევანში

ამას წინათ პრაღაში ჩატარდა ფეხბურთის მატჩი ჩეხოსლოვაკიის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის ლიდერი „ბრატისლავა" და პრაღის გუნდი „სლავია". როგორც ცნობილია, ამ გუნდების თამაში პირველ წრეში დამთავრდა „ბრატისლავას" სასარგებლოდ—5:4.

ამჯერადაც თამაში მეტად დაძაბული იყო. 24-ე წუთზე ანგარიში გახსნა ტეგელჰოფმა („ბრატისლავა"). მეორე ტაიმში „სლავიას" მარჯვენა შუამარბმა ხლავაჩეკმა სტუმრების ბადეში ზედიზედ სამი ბურთი მოაქცია, ხოლო შემდეგ ფორეიტმა მეოთხე ბურთი გაიტანა.

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შიმანსკიმ („ბრატისლავა") შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

გაიმარჯვა „სლავიამ"—4:2.

დამარცხების მიუხედავად „ბრატისლავა" წინანდებურად გათამაშების ლიდერია.

თ. სერგიაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 01042